მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები სს „რუსთავის აზოტის“ მიმდინარე საქმიანობის (ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე

20 იანვარი, 2021

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განხილვისათვის გამოქვეყნებულ სს “რუსთავის აზოტის” მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე.

განსახილველი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის თანახმად, „ანგარიშში ასახულია სს ,,რუსთავის აზოტის'' ქიმიური საწარმოს მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის ცვლილების და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, **მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობები“**.

სს “რუსთავის აზოტი” ცდილობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ერთდროულად მოიპოვოს დაგეგმილ და უკვე მიმდინარე უკანონო საქმიანობაზე, რაც ეწინააღმდეგება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს.

კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; თუმცა, კოდექსის თანახმად, ეს შესაძლებლობა მხოლოდ იმ საქმიანობებს შეეხებოდა რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო. გარდა იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება სულ სხვა პროცედურის საფუძველზე ხდებოდა (მზადდებოდა ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი), მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროსათვის მიმართვის შესაძლებლობით სარგებლობის ვადა 2019 წლის 1 ივნისს ამოიწურა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი გასცეს დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განსახილველ დოკუმენტზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობაზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა, ვიმედოვნებთ, რომ სამინისტრო ამ ჯერზე არ გასცდება კანონით დადგენილ ნორმებს და არ გასცემს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება გარემოსდაცვითი მექანიზმების დისკრედიტაციისა და უკანონო საქმიანობის „დაკანონების“ პრაქტიკის დამკვიდრებისათვის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ხელშემწყობი და სხვა მეწარმეებისათვის კანონის მოთხოვნების უგულებელყოფის წამახალისებელი გადაწყვეტილება.